გმირული შრომით მოპოვებული ჯილდო

დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს — ღირსეული შეხვედრა!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 36
(5845)

1977 წ.
20 თებერვალი,
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ და საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ეროვნული ოკრუგების, ქალაქების, რაიონების, საწარმოთა, გაერთიანებათა, მშენებლობათა, სამეცნიერო-საკვლევ და სხვა ორგანიზაციათა, დაწესებულებათა, კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების, აგროსამრეწველო საწარმოთა, სამეურნეობათშორისო და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციათა კოლექტივების წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისთვის, 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისთვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ და საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა გამარჯვებულებად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დააჯილდოეს:

მოკავშირე რესპუბლიკები

1976 წელს სახალხო მეურნეობის განვითარებაში წარმატებებისთვის — **რუსეთის სფსრ, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, საქართველოს სსრ, აზერბაიჯანის სსრ, სომხეთის სსრ, ესტონეთის სსრ.**

●

ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისა და 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისთვის გაშლილ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მიღწევისთვის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა **აჭარის ავტონომიური სოციალისტური რესპუბლიკა** (საქართველოს სსრ).

საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, საბჭოთა კავშირის პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ და საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისთვის, 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისთვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და გამარჯვებულად ცნეს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დააჯილდოეს საქართველოს სს რესპუბლიკაში:

ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი, აბაშის რაიონი, გორის რაიონი, ზუგდიდის რაიონი და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის 26 კოლექტივი.

საინფორმაციო ცნობა

საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობის შესახებ

18 თებერვალს საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობა მუშაობას განაგრძობდა.

საქართველოს პროფსაბჭოს სარევიზიო კომისიის ანგარიში წარმოადგინა ამ კომისიის თავმჯდომარემ სოციალისტური შრომის გმირმა **ვ. ხ. ტრაპაიძემ.**

შემდეგ დაიწყო საქართველოს პროფსაბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა განხილვა.

განხილვაში მონაწილეობდნენ: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადე, კომუნისტური შრომის დამკვრელი **ვ. შ. კალანდაძე**, აფხაზეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **შ. ე. შარტავა**, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მღარავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ვ. ე. ახვერდოვა**, აჭარის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **ნ. მ. ყურშუბაძე**, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი **ს. მ. ჭიაურელი**, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ჟ. ქ. შარტავა**, ახალქალაქის რაიონის ბურნაშეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე **ვ. ა. კოჩოიანი**, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **ე. კ. ხარაძე**, საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **ნ. დ. რუხაძე**, სამხრეთ ოსეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **კ. ა. გაზაევი**, რკინიგზის ფოსტამტის ბრიგადირი, კომუნისტური შრომის დამკვრელი **ს. ვ. ნიკიტენკო**, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე **დ. ა. პერტენავა**, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრი **რ. შ. კონცელიძე**.

* * *

გუშინ საქართველოს პროფკავშირთა XVI ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

პატრიოტული მოწოდების შესანიშნავი ნაყოფი

საქართველოს 26 საწარმო, დაწესებულება, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით დაჯილდოვდა. მათ შორის არის რუსთავის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივი.

რუსთაველი მეტალურგების ეს სასახელო გამარჯვება კანონზომიერია. შარშან სწორედ ამ ქარხანაში იშვა პატრიოტული მოწოდება: **„სოციალისტური დისციპლინის განმტკიცებას — მუშური გარანტია!“, „არც ერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი — ჩვენს გვერდით!“**, რომელსაც რესპუბლიკის ყველა საწარმომ, დაწესებულებამ, კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ დაუჭირა მხარი.

ქარხნის კოლექტივის წარმატებაში ყველა მშრომელს, სპორტსმენს, ფიზკულტურელს სათანადო წვლილი აქვს შეტანილი. მათ შორისაა მარტენის საამქროს მეფოლადე, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. მეტრეველი.

●



სურათებზე: ვ. მეტრეველი (მარცხნივ) და მისი ხელშემწყობი ზ. ქუთიძე; ქარხნის კალათბურთელთა პირველობის მომენტი.

რ. გაბრიჭიძის ფოტოები.

როგორი უნდა იყოს ფიზაღზრდის გაკვეთილი?

გონივრულად გამოვიყენოთ 45 წუთი

ჩვენი მომავალი თაობის ფიზიკური აღზრდის საკითხი კარგა ხანია ფართო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში დადგა. მშობლები შეწუხებული არიან შვილების სასკოლო პროგრამების გაზრდით, იმით, რომ მოზარდი ველარ იცლის სათამაშოდ, გასართობად, მხატვრული ლიტერატურის საკითხავად. დიდი სჯა-ბაასი გაჩაღდა, თუ შეიძლება ითქვას, ეზოს პრობლემაზე. გვაფიქრებდა ის ამბავი, რომ ბავშვებს ეზო წავართვით, სათამაშო ადგილი აღარ დავუტოვეთ. უეზოოდ დარჩენილი ბავშვები ან დღედაღამ წიგნს ჩასცქერიან, ან ტელევიზორთან სხედან. მოძრაობა, სირბილი სულ გადაავიწყდათ. ყოველივე ამის შესახებ ბევრი ითქვა, ბევრიც დაიწერა და ალბათ ამ საქმესაც ეშველება თანდათანობით. ფიზკულტურის გაკვეთილი კი ძალიან დიდხანს დავიწყებული იყო. ამ ორიოდე წლის წინათ „ლელოს" ფურცლებზე დაიბეჭდა თბილისის ოქტომბრის რაიონის სპორტსკოლის დირექტორის მოადგილის მ. მჭედლიშვილის საინტერესო წერილი ამ საკითხზე. შემდეგ „ლელომ" გამოაქვეყნა ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლის ო. ცხადაძის პრობლემური წერილი, რომელიც ასევე მოსწავლეთა ფიზაღზრდას და სკოლაში ფიზკულტურის გაკვეთილის გაუმჯობესებას ეძღვნებოდა. ამ წერილებს ბევრი სპეციალისტი თუ მშობელი გამოეხმაურა.

დღეს კვლავ გვინდა ამ საკითხს მივუბრუნდეთ — რედაქციამ გადაწყვიტა „მრგვალ მაგიდასთან" მოეწვია თბილისის საშუალო სკოლების რამდენიმე ფიზაღზრდის მასწავლებელი.

სტუმრებს ასეთი შეკითხვებით მივმართეთ:

1. როგორ გესახებათ ფიზაღზრდის სრულყოფილი გაკვეთილი და რა მიგაჩნიათ საჭიროდ ამ სრულყოფისთვის?
2. თუ, ვთქვათ, სკოლას სპორტული მოედანი არა აქვს, მონდომებული, საქმის მცოდნე ფიზაღზრდის მასწავლებელი აანაზღაურებს თუ არა ამ დანაკლისს დარბაზში და როგორ?
3. დაწყებითი კლასების მოსწავლეებისთვის რა სახის ვარჯიშები მიგაჩნიათ საუკეთესოდ?
4. რა არის საჭირო სპორტული სექციების მუშაობის გაუმჯობესებისთვის ან საერთოდ, როგორ უნდა მუშაობდეს სკოლის სპორტული სექცია?
5. როგორ აფასებთ ფიზკულტურისა და სპორტის როლს ჯანმრთელი თაობის აღზრდაში? თქვენი მოსაზრებანი ამ მხრივ მუშაობის გაუმჯობესებისთვის.
6. ფიზაღზრდის გაკვეთილებისა და სპორტულ სექციებში მუშაობის გარდა რა ღონისძიებებს ატარებთ მოზარდი თაობის სრულყოფილი ფიზიკური წრთობისთვის?

მაშ ასე, დღეს „ლელოს" „მრგვალი მაგიდის" სტუმრები არიან ფიზაღზრდის მასწავლებლები: საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი ტანვარჯიშში **გიორგი ბაბიტაშვილი** (თბილისის 51-ე საშუალო სკოლა), მასწავლებლები: **უშანგი ბასილია** (154-ე), **გიორგი ხიდეშელი** და **ვახტანგ გოგნიაშვილი** (143-ე), **ანატოლი ვასილიევი** (144-ე).



გ. ბაბიტაშვილი: ფიზიკური აღზრდა მეტად მნიშვნელოვანი სასწავლო დისციპლინაა. იგი ხელს უწყობს არა მარტო ბავშვის ჯანმრთელობის განმტკიცებას, არამედ ისეთი ჩვევების ჩამოყალიბებასაც, როგორიცაა გამბედაობა და სიმამაცე, შეუპოვრობა და სიმტკიცე. ყველაფერი ეს იმის საფუძველს ქმნის, რომ სკოლამ ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები სოციალისტური სამშობლოს ღირსეულ დამცველებად აღზარდოს.

გაკვეთილი სწავლების ძირითადი ფორმაა. იმისთვის, რომ ფიზაღზრდის გაკვეთილი სრულყოფილი იყოს, მასწავლებელი წინასწარ უნდა მოემზადოს, შეადგინოს გაკვეთილის გეგმა-კონსპექტი, შეარჩიოს საჭირო ინვენტარი. ფიზიკური დატვირთვის გასაზრდელად კლასი რამდენიმე ჯგუფად უნდა დავყოთ.

უ. ბასილია: ფიზაღზრდის გაკვეთილებზე, ისევე როგორც ყველა სხვა საგნის გაკვეთილებზე, საერთოდ, გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნის მასწავლებელს, მის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას, საქმის სიყვარულს. დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, სკოლის სპორტული ბაზითა და საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფას. უამისოდ შეუძლებელია სპორტული ილეთებისა და მოძრაობების დაუფლება. ამასთანავე, მასწავლებელმა ბავშვებს უნდა შეაყვაროს საგანი. აღმზრდელზე მართლაც ბევრი რამაა დამოკიდებული. მასწავლებელი შემოქმედი, ხელოვანი, ფსიქოლოგი უნდა იყოს, კარგად უნდა იცნობდეს ბავშვის არა მარტო ფიზიკურ, ინდივიდუალურ მონაცემებს, არამედ მის ხასიათს, სულს, ფსიქოლოგიას. ეს დაეხმარება მას სწორად განსაზღვროს ბავშვების ფიზიკური მომზადების დონე, დაყოს კლასი სიძლიერის მიხედვით და თითოეულ მოსწავლეს შესაფერისი ვარჯიშები შეურჩიოს.

ამასთანავე, ფიზაღზრდის გაკვეთილები უნდა ემსახურებოდეს მოზარდის ზნეობრივ აღზრდასაც. უნდა ვეცადოთ ბავშვს ჩავუნერგოთ მაღალი ზნეობრივი პრინციპები და ჩვევები, აღვზარდოთ ფიზიკურად ჯანმრთელი, გონიერი, კეთილშობილი ახალგაზრდობა.

მოზარდის ფიზიკური სრულყოფისთვის მთავარია გაკვეთილის პროცესი. ბავშვი ხომ ფაქტიურად აქ სწავლობს სპორტულ მოძრაობებსა და ჩვევებს. კლასთან მუშაობის დროს მთავარია ინტერესის გაღვიძება მოსწავლეთა შორის, ამა თუ იმ მოძრაობათა გააზრებულად ათვისება, ბავშვების ყურადღების მობილიზება შესასრულებელ მოძრაობათა ირგვლივ და, რაც მთავარია, მოძრაობათა მრავალგზის გამეორება კოლექტიურად. მასწავლებელმა ყოველი ილეთი მაღალ დონეზე, დახვეწილად უნდა შეასრულოს და იქვე მიუთითოს ბავშვს მისი იოლად დაუფლების გზა. ამავე დროს, მასწავლებელმა მთელი კოლექტივი მაქსიმალურად უნდა დატვირთოს, რისთვისაც უმჯობესია კლასი რაც შეიძლება მეტ ჯგუფად დაყოს და მაქსიმალურად გამოიყენოს ინვენტარი.

სასურველია გაკვეთილი, თავისუფალი თუ სამწყობრო ვარჯიშები მუსიკის თანხლებით ტარდებოდეს. ამ დროს მასწავლებელი თავისუფლდება ტემპის, რითმისა და თვლის რეგულირებისაგან და შედარებით მეტი დრო რჩება პედაგოგიური პროცესისთვის ყურადღების მისაქცევად. მუსიკის თანხლებით ჩატარებული ვარჯიში მოსწავლეებს უფრო ხალისიან განწყობილებას უქმნის, რაც დიდად უწყობს ხელს თვით გაკვეთილის სრულყოფას.

სკოლაში ფიზაღზრდას კვირაში ორი გაკვეთილი ეთმობა. ამიტომ სპორტული ილეთისა თუ მოძრაობის უკეთ ათვისებისთვის საჭიროა მასწავლებელმა კონკრეტული საშინაო დავალება მისცეს მოსწავლეებს. სასურველია თუ ნორჩი ფიზაღზრდაში საშინაო დავალების შესრულებას სხვა გაკვეთილების მომზადებას შეუნაცვლებს. გონებრივი და ფიზიკური შრომის ამგვარი მონაცვლეობა ხელს შეუწყობს მოზარდის გონებრივ აქტივობას, მის ფიზიკურ წვრთნას, დაცვას გადაღლისაგან.

ყოველივე ზემოთქმული დამოკიდებულია მხოლოდ მასწავლებელზე, მის პედაგოგიურ ოსტატობასა და საშემსრულებლო კულტურაზე.

ამასთანავე, მასწავლებელს უსათუოდ სჭირდება სკოლის ხელმძღვანელობის დახმარება მატერიალური ბაზის განმტკიცებაში, მოზარდი თაობის ფიზიკური გაკაჟებისთვის ზრუნვაში.

გ. ხიდეშელი: ფიზაღზრდის გაკვეთილის სრულყოფისთვის, ამ 45 წუთის რაც შეიძლება უკეთ, გონივრულად გამოყენებისთვის, ვფიქრობ, საჭიროა პროგრამაში შევიტანოთ რაიმე მოძრავი თამაში, რაც აამაღლებს გაკვეთილის ემოციურ დონეს. გეგმით გათვალისწინებული სასწავლო მასალა ხარისხიანად უნდა შეისწავლოს მოსწავლეთა 80-90 პროცენტმა, ფიზაღზრდის მასწავლებელს უნდა შეეძლოს ვარჯიშების ახსნა-განმარტება პრაქტიკული ჩვენებით და სათანადო ტერმინოლოგიით. როცა გაკვეთილზე ორი მასწავლებელი შედის, მოსწავლეები უნდა გრძნობდნენ მათს მტკიცე ურთიერთშეთანხმებას. მასწავლებელმა თითოეული მოსწავლე სათანადოდ უნდა დატვირთოს და შესასრულებლად მისცეს ვარჯიშები, რასაც ყველა მოსწავლე დაძლევს.

ა. ვასილიევი: ფიზიკური აღზრდის ახალ პროგრამასთან დაკავშირებით, რომელიც უკვე მე-7 კლასიდან იწყება, მკვეთრად იყოფა საპროგრამო მასალა გოგონებისა და ბიჭებისთვის (მხატვრული ტანვარჯიში — გოგონებისთვის, კლასიკური ჭიდაობა — ბიჭებისთვის). გაკვეთილის სრულყოფილად ჩასატარებლად საჭიროა კლასში ორი მასწავლებელი შევიდეს და აუცილებლად ერთი მათგანი ქალი უნდა იყოს, რათა მათ სწორად აჩვენონ და ასწავლონ ბავშვებს ესა თუ ის მოძრაობანი.

ამას გარდა, საჭიროა, რომ მასწავლებელი სისტემატურად ეცნობოდეს უახლეს მეთოდურ ლიტერატურას.

უ. ბასილია: ყველა სკოლაში, რა თქმა უნდა, ფიზიკური კულტურის სწავლებისთვის სათანადო პირობები არ არის. ბევრგან არა აქვთ სპორტული მოედნები, ზოგან კი (უმთავრესად სოფლის სკოლებში) არც სპორტდარბაზებია. მაგრამ ამ ნაკლის ანაზღაურება შეიძლება მასწავლებლის მონდომებითა და ადმინისტრაციის მხარდაჭერით. არის სკოლები, სადაც, მიუხედავად ამგვარი პირობებისა, სპორტული მუშაობა მაინც სათანადო სიმაღლეზე დგას. სპორტში მთავარია სისტემატური ვარჯიში. მასწავლებელს უნდა შესწევდეს უნარი, დროულად შენიშნოს, რა მონაცემები აქვთ მის აღსაზრდელებს, სპორტის რომელ სახეობაში შეუძლიათ ვარჯიში და ამის მიხედვით გააერთიანოს ისინი სპორტულ სექციებში.

გ. ბაბიტაშვილი: სავსებით ვეთანხმები ჩემს კოლეგას. გარდა ამისა, თუ სკოლას მოედანი არა აქვს, მონდომებულ კაცს შეუძლია ბავშვები დარბაზშიც ავარჯიშოს, თუნდაც სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, დაბალი საწყისების აღებაში, წინაღობების გადალახვაში, ბირთვის ან დატენილი ბურთის კვრაში.

ვ. გოგნიაშვილი: ჩვენ, მაგალითად, სკოლაში გვაქვს 60-მეტრიანი სარბენი ბილიკები, ხტომისა და ტყორცნების სექტორები, მაგრამ ზამთარში და ცუდ ამინდში მძლეოსნები მაინც დარბაზში ვარჯიშობენ. სექციაში სამეცადინოდ ვიყენებთ სხვადასხვა ტანვარჯიშულ იარაღებს, თარჯებს, სახტუნებელს, შტანგასა და სხვა ინვენტარს. ვატარებთ შეჯიბრებებს ხელბურთში, სიგრძესა თუ სიმაღლეზე ხტომაში, ბირთვის კვრაში...

უ. ბასილია: ორიოდე სიტყვა დაწყებითი კლასების ბავშვებზე. ამ ასაკში, როგორც ვიცით, დამახასიათებელია სხეულის ზრდის შეფერხება და წონაში საგრძნობი მომატება. განვითარების მხრივ შედარებით ზომიერ ურთიერთდამოკიდებულებაშია გულსისხლძარღვთა სისტემა და სხეულის მასა, სუნთქვის აპარატი ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ განვითარებული, ამავე ასაკში თვალსაჩინო განვითარებას განიცდის ცენტრალური ნერვული სისტემა. ამიტომაც არის, რომ ნორჩები ადვილად ითვისებენ ფიზიკურ ვარჯიშებს. მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ სწორედ ამ პერიოდში ეყრება საფუძველი მოზარდის საერთო ფიზიკურ მომზადებას. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაკლებად უნდა გამოვიყენოთ ის ვარჯიშები, რომლებიც განსაკუთრებით ავითარებენ გამძლეობასა და ძალას. ფიზაღზრდის მასწავლებელი არ უნდა ცდილობდეს, რომ ამ ასაკში მოსწავლეებმა მოკლე დროში აითვისონ სპორტისთვის დამახასიათებელი ზუსტი მოძრაობები. ყველაფერმა ამან შესაძლოა შეაფერხოს ბავშვის ორგანიზმის ნორმალური განვითარება და შეარყიოს მისი ჯანმრთელობა. ამიტომ დაწყებით კლასებში გაკვეთილზე გამოცდილი მასწავლებელი უნდა შედიოდეს. პროგრამაში ძირითადად უნდა იყოს მარტივი თამაშობანი, მკლავების, ფეხების, ზეტანის, თავის მოძრაობები. აქვე უნდა ვასწავლოთ მათ სამწყობრო ვარჯიშები, სწორი სიარული, რბენა, ფორთხვა და ცოცვა, ხტომა ცალ და ორივე ფეხზე. პროგრამაში უნდა იყოს სხვადასხვა ვარჯიშები აღნაგობის ჩამოსაყალიბებლად.

II-III კლასებში, ზემოჩამოთვლილის გარდა, შეიძლება პროგრამაში შევიტანოთ ვარჯიში სისწრაფის გასავითარებლად, თამაშები რბენით, ამანათრბენი, ვარჯიში დიდი ბურთებით, დვირზე ვარჯიში. წონასწორობაში, ადგილიდან და გამორბენით ხტომა... ერთი სიტყვით, ამ ასაკში უნდა ვეცადოთ მეტი დრო დავუთმოთ სისწრაფეს, სუნთქვის გამომუშავებას, მოძრაობითი ჩვევების, უპირატესად სიმარჯვისა და სისწრაფის განვითარებას. ამავე კლასებში უნდა ვეძებოთ სპორტის ცალკეულ სახეობებში გამოსადეგი ბავშვები და დროულად გავგზავნოთ ისინი სპორტსკოლებში. დასასრულ, დაწყებით კლასებში საჭიროა მუშაობდნენ სპეციალისტები, თორემ დღეს, მაგალითად, რესპუბლიკის სკოლების 80 პროცენტში ფიზიკური აღზრდის სწავლება ფაქტიურად მე-4 კლასიდან იწყება.

გ. ბაბიტაშვილი, გ. ხიდეშელი, ა. ვასილიევი: დაწყებითი კლასის ბავშვებისთვის ყველაზე მეტად საჭიროა მოძრავი თამაშები, ადგილზე რბენა, ადგილიდან სიგრძეზე ხტომა. მეთოდურად გამორიცხული უნდა იყოს სტატიკური და ძალისმიერი ვარჯიშები. სასარგებლოა დინამიკური ვარჯიშები თამაშობათა სახით.

გ. ბაბიტაშვილი: სკოლაში რომ სპორტული სექცია მუშაობდეს, ამისათვის პირველ ყოვლისა ბაზა და ინვენტარია საჭირო. მასწავლებელმა სექციებისთვის უნდა შეარჩიოს შესაბამისი მონაცემების მქონე ბავშვები, ჩაატაროს საექიმო შემოწმება, შეადგინოს სამუშაო გეგმა, სექციებში ბავშვების დატვირთვა თანდათანობით უნდა მატულობდეს.

უ. ბასილია: სპორტული სექციების მუშაობა სკოლაში კვირაში ორჯერ ან სამჯერ უნდა ტარდებოდეს 60-90 წუთის ხანგრძლივობით. სექციებში მომეცადინენი ხშირად უნდა შეეხვედროთ სხვა სკოლების მოსწავლე-სპორტსმენებს. საერთოდ, ისინი ხშირად უნდა მონაწილეობდნენ ოფიციალურ და ამხანაგურ შეჯიბრებებში. ამგვარ ტურნირებში ბავშვებს უვითარდებათ კოლექტივიზმის და მეგობრობის გრძნობა, ასრულებენ სხვადასხვა თანრიგის ნორმატივებს.

გ. ბაბიტაშვილი: ნაკლები მოძრაობა, ერთსა და იმავე მდგომარეობაში დიდხანს ყოფნა — მერხთან, მაგიდასთან, ტელევიზორთან ჯდომა ხელს უწყობს ბავშვის ხერხემლის დეფორმირებას, წონის გადაჭარბებულ მატებას, მხედველობის დაქვეითებას, აფერხებს ნერვული სისტემისა და გულსისხლძარღვთა მუშაობას. თუ გვინდა ყველაფერ ამას თავი ავარიდოთ, საჭიროა მშობლებმაც და მასწავლებლებმაც შთავაგონოთ ახალგაზრდებს, რომ სპორტში მეცადინეობა, ვარჯიში ჯანმრთელობის უპირველესი საწინდარია, ჩვენი ვალია ყოველნაირად შევაჩვიოთ ბავშვები მოძრაობას, ნუ გამოვკეტავთ მათ სახლებში!

ვ. გოგნიაშვილი: პირველ ყოვლისა საჭიროა მოსწავლეებმა, მათმა მშობლებმა, სკოლის პედკოლექტივმა იცოდნენ, თუ რას ნიშნავს მოზარდისთვის ფიზიკური კულტურა, მათ უნდა ავუხსნათ, რომ სპორტში ვარჯიში გართობა არ არის, მისი მიზანია ფიზიკურ აღზრდასთან ერთად მორალურ-ნებელობითი თვისებების გამომუშავება, ადამიანის ჩამოყალიბება. მოსწავლეებს უნდა გავაცნოთ საზოგადო მოღვაწეთა აზრი ფიზიკური აღზრდის საკითხებზე.

ჩვენი მიზანია ბავშვებს შევასწავლოთ საექიმო კონტროლი და თვითკონტროლი, რათა დამოუკიდებლად შეძლონ საკუთარ ჯანმრთელობაზე დაკვირვება, ამავე დროს, მათ უნდა ვასწავლოთ ჰაერისა და წყლის პროცედურების მიღება, სისტემატურად უნდა ვაწყობდეთ ტურისტულ ლაშქრობებს.

უ. ბასილია: ჩვენი საუბრის დასასრულს მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც გაკვეთილებისა და სექციური მუშაობის გარდა უნდა ტარდებოდეს. აუცილებლად მიმაჩნია კლასებს შორის ეწყობოდეს შეჯიბრებები საპროგრამო მასალის ათვისებაში. შიდასასკოლო ტურნირები „იმედის სტარტებისა" და სარაიონო სპარტაკიადების პროგრამით გათვალისწინებულ სახეობებში. მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სპორტის პროპაგანდას, სისტემატურად უნდა ეწყობოდეს ტურისტული ლაშქრობები, ექსკურსიები.

საუბარი ჩაიწერა **დ. ჭელიძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშდ-ს ინსპექცია „ლელოს" ფურცლებზე

●

ნუ მპირდები ცაში წეროს...

ასპინძის რაიონის 46 ფიზკულტურულმა კოლექტივმა 1976 წელს მშდ კომპლექსის 947 ნიშნოსანი მოამზადა. განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობს მშდ-ს მრავალჭიდი. I და II ეტაპის შეჯიბრებები მაღალ დონეზე რომ ჩაუტარებიათ, ამას ზონალურ პირველობაში მოპოვებული II ადგილიც მოწმობს. ასპინძელი ფიზკულტურელები გასულ წლებშიც წარმატებით გამოდიოდნენ მსგავს შეჯიბრებებში. ეს პირველ ყოვლისა სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ვ. ცინაძის მონდომებული მუშაობის ნაყოფია. რაც შეეხება მშდ-ს რაიონულ კომისიას და ინსპექციას, მათი საქმიანობის კვალი ვერსად შევნიშნეთ.

დაბა ასპინძაში ცენტრალური სტადიონის რეკონსტრუქცია დაუწყიათ, იქვე მოეწყობა ფრენბურთის ორი, კალათბურთისა და ხელბურთის თითო მოედანი, მძლეოსნური სექტორები, სარბენი ბილიკები. კარგი იქნება, თუ რაიონის მესვეურები საცურაო აუზისა და ტირის აგებისთვისაც იზრუნებენ.

საშუალო სკოლა მალე მიიღებს ახალ შენობას, რომელსაც საშუალო ზომის სპორტული დარბაზიც ექნება. ამ სკოლის დირექტორ დ. ცინაძის ზრუნვა მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდისთვის მართლაც რომ მისაბაძია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ფიზკულტურის მასწავლებლები კ. ფართლაძე და მ. ფოცხვერიშვილი ხელმძღვანელს მხარს ვერ უბამენ. სკოლაში მშდ-ს 60 ნიშნოსანი მოუმზადებიათ, მაგრამ დოკუმენტაცია უხარისხოდაა შედგენილი.

მშდ კომპლექსი სათანადო ყურადღებით არ სარგებლობს სოფელ დამალის საშუალო სკოლაში (დირექტორი ჰ. ბექირიანი, ფიზკულტურის მასწავლებელი ა. ნახაპეტიანი). მიზეზი ალბათ ისიცაა, რომ სკოლას სპორტული ბაზა არა აქვს. ვერ გვიჩვენეს კომპლექსზე მუშაობის გეგმა. უმოქმედოდაა მშდ-ს კომისიაც.

როგორც სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ გვითხრა, რაიონის ნაკრები გუნდი, რომელმაც მშდ-ს მრავალჭიდის პროგრამით გამართულ ზონალურ პირველობაში წარმატებას მიაღწია, ამ სოფლის წარმომადგენლებით იყო დაკომპლექტებული, მაგრამ თვით დამალის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. ვართანიანი, ფიზკულტურის კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე პ. საგატელიანი) ნიშნოსანთა მომზადების დამადასტურებელი საბუთი ვერ გვიჩვენეს.

საგანგაშო მდგომარეობაა სოფელ ნაქალაქევის საშუალო სკოლაში. ფიზკულტურის მასწავლებელმა ი. ბერიძემ გვითხრა, 50-ზე მეტი ნიშნოსანი მოვამზადეთო. როცა საბუთები მოვთხოვეთ, გვიპასუხა, ყველაფერი დირექტორთან ინახებაო. დირექტორმა ბ. ზაზაძემ ეს საბუთები დიდხანს ეძება, მაგრამ, რაც არ იყო, რას იპოვიდა. გამახსენდა, ბრძანების წიგნი და სხვა დოკუმენტები არქივს ჩავაბარეთო. თავის მართლება სცადა შემდეგ ბ. ზაზაძემ.

მასწავლებელი და დირექტორი თვალის ახვევის ამ გულუბრყვილო ცდას როდი დასჯერდნენ. ი. ბერიძემ ორი გაყვითლებული ფურცელი მოგვაჩეჩა: ეს უწყისები მე დავიტოვეო. მართალია, თარიღის გადასწორება მოესწრო, მაგრამ მოსწავლეთა გვარების გასწვრივ, დაბადების წლის გრაფაში 1957 რომ ამოვიკითხეთ, ყველაფერი ნათელი გახდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აქ 1976 წელს საექიმო შემოწმება არ ჩატარებულა. მოსწავლეთა პირად საქმეებში ექიმის დასკვნა ყალბი იყო. არადა, სკოლას მშვენიერი სპორტული დარბაზი და ფეხბურთის მინდორი აქვს. მით უფრო სამწუხაროა, რომ ასეთ პირობებში ერთი ნამდვილი ნიშნოსანიც ვერ მოუმზადებიათ.

წამოსვლისას ბ. ზაზაძე გვარწმუნებდა, მდგომარეობას გამოვასწორებთო.

ნუ მპირდები ცაში წეროს, ხელში მომეც ბეღურაო, სწორედ ამაზე უთქვამს ქართველ კაცს.

ე. ბერიშვილი.

რვა ჭაბუკი — რვა გამარჯვება

ცურვა

ცურვის გულშემატკივრებმა კარგად იციან, რომ ცისფერი ბილიკების ოსტატები სტარტის წინ გულმოდგინედ იპარსავენ წვერს. ზოგიერთი გამარჯვების ჟინით შეპყრობილი მოცურავე თავგადაპარსულიც გამოდის სტარტზე. ამით ისინი ცურვისას წინაღობას ამცირებენ და სისწრაფის რეზერვს ზრდიან.

ახლახან თბილისში „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე საკავშირო შეჯიბრების შესარჩევი ასპარეზობა დამთავრდა. სარბიელზე გამოვიდნენ სამხრეთის ზონაში მოხვედრილი რესპუბლიკების: ყაზახეთის, თურქმენეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის, უზბეკეთის, ყირგიზეთისა და საქართველოს პროფკავშირული გუნდები.

საქართველოს გუნდმა სასპარეზოდ მხოლოდ ვაჟები გამოიყვანა, რადგან მათ ქალებზე მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლოთ. ჩვენი ვაჟებიდან ერთის გარდა ყველა თავგადაპარსული ვიხილეთ. ეს გახლდათ პირველი ნიშანი იმისა, რომ განთიადელები საბრძოლველად იყვნენ განწყობილი. მათ მართლაც ყველაფერი იღონეს გამარჯვებისთვის, მაგრამ ყირგიზეთისა და უზბეკეთის გუნდებს „ალგასა" და „მეხნატს" ოდნავ მაინც ჩამორჩნენ.

სხვათა შორის, ყირგიზული სიტყვა „ალგა" ქართულად ასე ითარგმნება: „წინ". ისინი მართლაც ყველაზე წინ აღმოჩნდნენ და 13071 ქულა მოაგროვეს. უზბეკური „მეხნატი" კი ქართულად „შრომას" ნიშნავს. მათაც დაუფასდათ შრომა. ისინი გამარჯვებულს 45 ქულით ჩამორჩნენ, „განთიადი" კი... განთიადს ხომ ყველა ახალი იმედებით ხვდება და ამ მხრივ არც ჩვენს ბიჭებზე გვეთქმის საყვედური: რვა ჭაბუკმა რვა I, ორ-ორი II და III ადგილი მოიპოვეს. ეს ცუდი არ არის.

ახლა, ვნახოთ, განთიადელთაგან ვინ რა წვლილი შეიტანა III ადგილის მოპოვებაში. შეჯიბრების ნამდვილი ტრიუმფატორი ა. გიორგაძე გახლავთ. თუმცა, სწორედ ის იყო ერთადერთი, ვინც ქოჩორს ვერ შეელია. იგი ხუთჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე, გაიმარჯვა 100, 200 და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში (შესაბამისად — 57,0 2.05,4 და 4.25,3), აგრეთვე, 4×100 მეტრზე თავისუფალ და კომბინირებულ ესტაფეტებში. საერთო გუნდურ ჩათვლაში მოცურავის მხოლოდ ორი საუკეთესო შედეგი შედიოდა (ესტაფეტების გარდა), თორემ საქართველოს გუნდს გამარჯვებას ვერავინ შეეცილებოდა.

პროგრამის მაქსიმუმი შეასრულა ს. სამსონოვმაც. მის ანგარიშზე მოდის სამი I ადგილი 100 და 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში (1.11,3 და 2.36,4), აგრეთვე, კომბინირებულ ესტაფეტაში.

მათ ოდნავ ჩამორჩა ვ. გოდერძიშვილი. სხვათა შორის, ვანო გიგა გოდერძიშვილის — ცურვაში საქართველოს რეკორდსმენის უმცროსი ძმაა. იგი 4×100 მეტრზე ესტაფეტაში თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებულთა შორის იყო. ვანო საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში (2.27,0), 400 მეტრზე კი მეორე იყო (5.25,2).

გ. ნიკოლაიშვილმა 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში II ადგილი დაიკავა (1.05,9). ამ სახეობაში მესამე იყო ასევე განთიადელი ზ. აგალახოვი (1.11,0).

ნიკოლაიშვილისგან მეტს მოველოდით, მაგრამ, აღმოჩნდა, რომ მას ერთხანს მიუტოვებია აუზი.

და ბოლოს, 100 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში კიდევ ერთი საპრიზო ადგილი ხვდა ს. სამსონაძეს (1.13,0).

განთიადელთა გუნდიდან მხოლოდ ი. გერასიმოვი და ს. კოქედუბი დარჩნენ საპატიო კვარცხლბეკის მიღმა. თუმცა, მათ ესტაფეტებში გამოიჩინეს თავი — გამარჯვებულთა შორის იყვნენ. ახლა სწორედ ამ კვარტეტებს გაგაცნობთ. 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვა — გოდერძიშვილი, სამსონაძე, გერასიმოვი, გიორგაძე (3.59,3), კომბინირებული — კოქედუბი, სამსონოვი, ნიკოლაიშვილი და გიორგაძე.

ა. რაჭველიშვილი.

სურათებზე: ს. კოქედუბი, ს. სამსონოვი, ა. გიორგაძე და გ. ნიკოლაიშვილი; 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებული ბაქოელთა გუნდი — ო. გრუზინცევა, მ. ტარიელკინა, ნ. ვოლკოვა და ლ. აზიზოვა.

ავტორის ფოტოები.

ხელბურთი

23 ქულა, III ადგილი...

ლვოვსა და ალიტუსში დამთავრდა ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის I ტურის მატჩები. ალიტუსის ჯგუფში გათამაშების ბოლო დღის შედეგები ასეთია: თბილისის „ბურევესტნიკმა", მიუხედავად იმისა, რომ პირველი ტაიმი წააგო კაუნასის „გრანიტასთან" (9:10), მაინც შეძლო თამაში გარდატეხის შეტანა და გაიმარჯვა — 22:20. თბილისელებმა საკმაოდ შესუსტებული შემადგენლობით 5 შეხვედრიდან 3 მატჩი მოიგეს და ერთ-ერთი ლიდერის პოზიცია შეინარჩუნეს. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა კიევის ასკ ანგარიშით 29:23, ხოლო მოსკოვის „კუნცევომ" მოუგო ლენინგრადის „ნევას" — 26:22.

მეორე წრის დანარჩენი მატჩები გაიმართება მინსკში 1-დან 7 მარტამდე. აქ გამოვლინდება საკავშირო ჩემპიონატის ფინალისტთა ექვსეული, რომელიც 2 წრედ გამართავს შეხვედრებს.

გათამაშების ცხრილში მეორე წრის დასკვნითი ტურის წინ პირველ ადგილზეა საავიაციო ინსტიტუტის გუნდი — 30 ქულა (32 შესაძლებლიდან), მეორეზე — ცსკა — 24, მესამეზე — თბილისის „ბურევესტნიკი" — 23.

უთოფოდ და უთხილამუროდ

პერმში გაიმართა დოსააფის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი დოსააფის პირველი საკავშირო ზამთრის სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მშდ კომპლექსის მრავალჭიდში. პროგრამაში შედიოდა 10 კილომეტრზე რბენა, ესტაფეტა, ტყვიის სროლა და ვაჟებისთვის ღერძზე მიზიდვა, ქალებისთვის — მკლავებზე აზიდვა.

ასპარეზობაში რესპუბლიკებისა და ქალაქების 13 გუნდი ჩაება. ყოველ კოლექტივს 4 ვაჟი და ამდენივე ქალი გამოჰყავდა. საქართველოს ნაკრების ღირსებას იცავდნენ თბილისელი ა. შევჩენკო, მესტიელი მ. ფალიანი და ბოგდანოვკელი სპორტსმენები.

საქართველოს ვაჟთა გუნდმა საერთო მეოთხე ადგილი დაიკავა, ხოლო ქალები მერვე ადგილზე გავიდნენ. ვაჟთა შეჯიბრებაში ბოგდანოვკელი ვ. ტერეხოვი მრავალჭიდში IV ადგილზეა. ტყვიის სროლაში მან 100-დან 84 ქულა მოაგროვა და მრავალჭიდისთვის 25 ქულა დაიმსახურა. ტერეხოვმა 10 კილომეტრზე რბენაში მესამე საპრიზო ადგილი მოიგო (37,03) და კიდევ 44 ქულა მიიღო. ღერძზე 14-ჯერ მიიზიდა, ესტაფეტაში 3×5 კილომეტრზე კი ნ. მიტინსა და ნ. ბლუდოვთან ერთად IV ადგილი მოიპოვა.

— შედეგები უკეთესი იქნებოდა მეტი ხელშეწყობა რომ გვქონოდა, — გვეუბნება საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ფ. ტროფიმენკოვი. დავიწყოთ იმით, რომ სპარტაკიადის გახსნის აღლუმზე საქართველოს ნაკრების გარდა ყველას ერთიანი სპორტული ფორმა ეცვა, ჩვენ კი ყოველდღიური ტანსაცმლით გამოვედით. ასპარეზობისთვის მზადებისათვის მხოლოდ ორდღიანი შეკრება მოვახერხეთ. გუნდი თხილამურებითა და ხეირიანი შაშხანებითაც არ იყო უზრუნველყოფილი. ოთხი შაშხანიდან ორი მწყობრიდან გამოვიდა, რომელთა შეკეთება დოსააფის მწვრთნელ-მეთოდისტმა მ. ტრელენკოვმაც ვერ შეძლო. სწორედ ამიტომ მოხდა, რომ შევჩენკომ სროლაში ერთი ქულაც ვერ აიღო. უფრო მეტიც, თხილამურების საცხზეც კი უარი გვითხრეს(?!). როცა ბაკურიანიდან ტელეფონით ჩვენი გაჭირვების შესახებ საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობას ვაცნობეთ, გვითხრეს... თქვენთვის არ გვცალიაო(?!).


ГОТОВ К ТРУДУ И ОБОРОНЕ СССР

მ. ზაქარეიშვილი.

თხილამურები

სლავსკში სამთომოთხილამურეთა საკავშირო გუნდური ჩემპიონატის მეორე ტურის შეჯიბრებაში „კარპატის" პრიზზე ვაჟთა შორის სწრაფდაშვების 2050-მეტრიან ტრასაზე ყველას აჯობა ს. ნაზაროვმა („შრომითი რეზერვები") — 2.24,13. გიგანტურ სლალომში (1100 მ) ორი ცდის ჯამში იმარჯვა გ. ანდრეევმა („ტრუდი") — 2.22,90.

ქალთა გიგანტური სლალომის (1060 მ) ფინიშთან პირველი მივიდა ს. ლებედევა („დინამო") — 1.20,68.

ჩეხოსლოვაკიის თოვლიან ბილიკებზე გრძელდება მეგობრული არმიების ზამთრის VI სპარტაკიადა. 90-მეტრიან ტრამპლინზე ხტომაში ყველა საპრიზო ადგილი მასპინძლებმა მოიგეს. ჩემპიონი გახდა ლ. შკოდა — 255,2 ქულა (ნახტომები — 109,5 და 114 მ). ბიატლონში ერთი საჯარიმო წუთით გაიმარჯვა ნ. გრუკლოვმა — 1:10.57,42. II ადგილზე გავიდა ი. უშაკოვი (ორივე — საბჭოთა კავშირი) — 1:11.42,41 (1). სწრაფდაშვება მოიგო პოლონელმა გ. ბახლედამ — 1.16,99. გიგანტურ სლალომში უძლიერესი აღმოჩნდა მ. სოხორა (ჩეხოსლოვაკია) — 1.26,26. 30 კილომეტრზე რბენაში ფინიშთან პირველი მიიჭრა ნ. საველიევი (სსრ კავშირი) — 1:27.32,11.

ნორვეგიის ქალაქ ვიკერსუნდში დაიწყო მსოფლიოს IV ჩემპიონატი თხილამურებით ფრენაში. პირველი დღის შემდეგ დაწინაურდა ავსტრიელი ტ. ინაუევი, რომელსაც 189,5 ქულა აქვს. იგი 125, 145 და 143 მეტრზე გადახტა. ავსტრიელს 0,5 ქულით ჩამორჩება კიროველი ა. ბოროვიტინი.

თავდაპირველად შეჯიბრებას ტონი სწორედ ბოროვიტინმა მისცა — 144 მეტრზე იფრინა. კიროველი სპორტსმენი მეორე ცდაზე 123 მეტრზე დაეშვა, მესამე ცდით კი ყველაზე შორს — 146 მეტრზე გადახტა, მაგრამ მიწაზე დაშვებისას წაიფორხილა. III ადგილზეა მსოფლიოს პირველი ჩემპიონი თხილამურებით ფრენაში ვ. შტაინერი (შვეიცარია) — 186 ქულა (ნახტომები — 136, 142, 140 მ).

სხვა საბჭოთა სპორტსმენთა მაჩვენებლები ასეთია: ი. ივანოვი — XV ადგილი, 152,5 ქულა, ვ. ბუბენოვი — XX ადგილი, 147,5 ქულა, ს. საიჩიკი — XXV ადგილი, 144 ქულა.

საუკეთესონი

ჭიდაობა

სსრ კავშირის ჭიდაობის ფედერაციამ და მსაჯთა საკავშირო კოლეგიამ 1976 წლის სეზონის მიხედვით დაამტკიცეს 10-10 საუკეთესო არბიტრის სიები (ანბანის მიხედვით):

კლასიკური ჭიდაობა. ი. ალექსეენკო (მოსკოვი), რ. ვარდანიანი (ერევანი), ე. ქარიკოვი (ორიოლი), მ. ზოლოვი (ბაქო), ი. ზელენინი (ტაშკენტი), ვ. მაკაროვი (მოსკოვი), ე. მატვეისი (რიგა), ი. მიხაილოვი (ალმა-ათა), ა. ნოვიკოვი (დუშანბე), ნ. ჩუჩალოვი (მინსკი).

თავისუფალი ჭიდაობა. ი. ზამიატინი (ლენინგრადი), გ. თარგამაძე (ბათუმი), ლ. კრავცოვი (მინსკი), გ. მამალიგა (მოსკოვი), ა. მედვედი (მინსკი), კ. რასტი (ტალინი), კ. სარიმსაკოვი (ფრუნზე), ი. სივენკო (ოდესა), ვ. სკოკოვი (მოსკოვი), პ. ტოკმაკოვი (მოსკოვის ოლქი).

საკავშირო ფედერაციამ აღნიშნა, აგრეთვე, საერთაშორისო არბიტრების ა. კუხიანიძისა (თბილისი) და ს. კაზარიანის (ერევანი) მსაჯობის მაღალი დონე, მათი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მუშაობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწვრთნელთა მთავარი საზრუნავი

კალათბურთი

საკდესის სპორტული მიმომხილველი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ალექსანდრე გომელსკი** გვესაუბრება კალათბურთში ევროპის საკლუბო ტურნირის შესახებ:

საბჭოთა კავშირის ჩემპიონებმა — ცსკა-ს კალათბურთელებმა წარმატებით განვლეს წინასწარი მატჩების სერია და ევროპის საუკეთესო გუნდების ექვსეულში განაგრძობენ ბრძოლას. ექვსეულში შეჯიბრება წრიული სისტემით ტარდება: ერთი მატჩი შინ, მეორე — სტუმრად. I და II ადგილებზე გასული გუნდები 7 აპრილს ბულგარეთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასს გაითამაშებენ.

არმიელები უკვე ორჯერ შეხვდნენ მადრიდის ძლიერ გუნდს „რეალს“ და ორივე მატჩი მოიგეს. ესპანეთში მოსკოველებმა შეხვედრის პირველივე წუთებიდან ხელთ იგდეს უპირატესობა და გაიმარჯვეს კიდეც — 111:92.

„რეალი“ გამოცდილი გუნდია. მის შემადგენლობაში ესპანეთის ნაკრების წევრებთან ერთად (კაბრერა, პრადა, რულანი, ლოპესი, რამოსი) თამაშობენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მოწვეული საუკეთესო კალათბურთელები — შჩერბიაკი, ბრაბენდერი, ლუიკი და კოუკრანი. ამიტომ ვფიქრობდით, რომ ეს ძლიერი გუნდი მადრიდის მატჩიდან სათანადო დასკვნას გამოიტანდა და მოსკოვის ორთაბრძოლას ყოველმხრივ მომზადებული შეხვდებოდა. მართლაც ასე მოხდა. მადრიდის კლუბმა მოსკოვში ექსტრა-კლასის კალათბურთით მოხიბლა მაყურებლები. ცსკა მთელი პირველი ტაიმის მანძილზე ცდილობდა დაცვა მოეგვარებინა: ხან ზონურ პრესინგს იყენებდა, ხან პირადს, პოზიციურ თავდაცვასაც მიმართავდა, მაგრამ „რეალის“ თავდასხმას ვერაფერი მოუხერხა.

არმიელ კალათბურთელთა ძალამ მხოლოდ მეორე ტაიმის შუა მონაკვეთში „იფეთქა“. გუნდის კაპიტან სერგეი ბელოვის მეთაურობით (იგი ამ მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო) ცსკა-მ შეძლო ათი ქულით მატჩის მოგება და დაწინაურდა — 113:111.

იტალიის ქალაქ ვარეზეში არმიელები „მობილჯირჯის“ გუნდს შეხვდნენ. ეს ყოფილი „ინისი“ გახლავთ, ოღონდ ახლა გუნდი ელექტროსაქონლის ნაცვლად ავეჯს უწევს რეკლამას...

ეს მატჩი სტარტზევე წაგებული იყო დაცვაში არმიელთა უფერული თამაშის გამო. ვარეზეში გამართულმა შეხვედრამ ნათლად გვიჩვენა, რომ მოსკოველები დაღალა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებასა და საკავშირო პირველობაში ერთდროულად მონაწილეობამ. გუნდი კვირაში ორ-სამ მატჩს ატარებდა და ექვსი-შვიდი თვის მანძილზე ორივე შეჯიბრებაში თამაშობდა. ამან სპორტსმენებს დასვენებისა და გეგმაზომიერი წვრთნის საშუალება მოუსპო.

ჩვენი აზრით, კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიბა) წინაშე უნდა დაისვას ჩემპიონთა თასის გათამაშების „შემჭიდროების“ საკითხი. უნდა შემოკლდეს თვით ასპარეზობის ვადები. გარდა ამისა, საჭიროა აიკრძალოს საკლუბო გუნდებში უცხოელ სპორტსმენთა მიწვევა. დღეს ჩვენ ფაქტიურად თამაში გვიხდება სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებ გუნდებთან, რომლებშიც ამასთანავე ამერიკელებიც გამოდიან.

ვფიქრობ, დღეს საჭიროა კრიტიკულად შევხედოთ საბჭოთა კალათბურთს, ჩვენი საკლუბო გუნდების საწვრთნელ პროცესს იმ მიზნით, რომ უახლოეს ხანში აღმოიფხვრას ჩამორჩენა თამაშის მთავარ კომპონენტებში. ინტენსიური ინდივიდუალური მუშაობა ტექნიკის დასახვეწად თავდასხმაშიც და დაცვაშიც ყველა მწვრთნელის უპირველესი საზრუნავი უნდა იყოს არა მარტო უმაღლეს ლიგაში, არამედ ბავშვთა სპორტულ სკოლებშიც.

...რა მდგომარეობაა ამჟამად ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ ტურნირში? წინ არის იტალიის გუნდი. მეორე ადგილზეა ცსკა, მესამეზე — მადრიდის „რეალი“. ფინალური მატჩის საგზურის მოსაპოვებლად არმიელებმა ოთხივე შეხვედრა უნდა მოიგონ შინაც და სტუმრადაც.

●

პარიზი. მოსკოვის „დინამოს“ კალათბურთელ ვაჟთა გუნდმა განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი წააგო საფრანგეთის საკლუბო კოლექტივთან — „ბერკთან“ ანგარიშით 84:108 (45:46) და კორაჩის თასის გათამაშებას გამოეთიშა. დინამოელთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო სიდიაკინი (27 ქულა), ფრანგების გუნდიდან — ამერიკელი სმითი (32).

4
REAL
MADRID
RE
MAD

თამაშობენ ცსკა-სა და „რეალის“ კალათბურთელები.

მეგობრული შეხვედრები ბაკურიანში

საქართველოს „თეთრი მარგალიტი“ მასპინძლობს სპორტულ ჟურნალისტთა 23-ე შეკრება-შეჯიბრებას

●

ბაკურიანს ასეთი რამ არ ახსოვს: გუშინწინ საქართველოს „თეთრ მარგალიტს“ ეწვია მსოფლიოს 26 ქვეყნის 168 ჟურნალისტი — ჟურნალისტთა საერთაშორისო სათხილამურო კლუბის წევრები. ფედერაცია 23 წლის წინათ შეიქმნა ფრანგი სპორტული ჟურნალისტის ჟილ დე ლიაროკის თაოსნობით. მას შემდეგ ჟურნალისტთა შეხვედრები ყოველწლიურად ეწყობა. 23-ე საერთაშორისო შეხვედრა-შეჯიბრების მასპინძლობა ბაკურიანს ხვდა წილად.

ჩვენი რესპუბლიკის სამთო კურორტზე ჟურნალისტები რამდენიმე დღეს დაჰყოფენ. გაიმართება დისკუსია თემაზე „კულტურული ურთიერთობა, საერთაშორისო დაძაბულობის შენელება და ჟურნალისტთა ამოცანები“, მოეწყობა ქართული ეროვნული ხელოვნების დღესასწაული. სტუმრები გაეცნობიან ბორჯომის ღირსშესანიშნაობებს, ჩატარდება ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში — სტუმრებს შეხვდებიან მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი და ნ. ალექსანდრია. მოეწყობა შეხვედრები მ. ჩიბურდანიძესა და ნ. იოსელიანთან.

გუშინწინვე ბაკურიანში საერთაშორისო კლუბის წევრთა შეხვედრა გახსნა ბორჯომის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ს. ლომიძემ. შეხვედრის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია.

სასტუმრო „ბაკურიანის“ წინ ფრიალებს მოთხილამურე ჟურნალისტთა საერთაშორისო კლუბის დროშა. ისმის გ. ცაბაძისა და ი. კეჭაყმაძის ამ წუთებისთვის საგანგებოდ შექმნილი ჰიმნი.

დიდხანს ელოდა ბაკურიანი ამ დღეს.

იუგოსლავიის, პოლონეთის, გდრ-ის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, არგენტინის, აშშ-ის, კანადის, ნორვეგიის, შვეციის, ფინეთის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთის, ლუქსემბურგის, ბელგიისა და სხვა ქვეყნების კალმოსანი სპორტსმენები საბჭოთა კავშირს 16 თებერვალს ეწვივნენ. იმ დღეს მოსკოვში „ინტურისტის“ ხელმძღვანელობამ მათთვის პრეს-კონფერენცია გამართა. მეორე დღეს მოეწყო პრეს-კონფერენცია საკავშირო სპორტკომიტეტისა და ოლიმპიადა 80-ის საორგანიზაციო კომიტეტის მესვეურებთან. სტუმრები გაეცნენ მოსკოვის ღირსშესანიშნაობებს, დიდ თეატრში დაესწრნენ სპექტაკლს, პარასკევს კი უკვე თბილისში იყვნენ.

23-ე საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეთა შორის მხოლოდ სპორტული ჟურნალისტები როდი არიან. ჟურნალისტთა საერთაშორისო სათხილამურო კლუბის წევრობა სათხილამურო სპორტის ყველა მოყვარულს შეუძლია. აქ არიან სხვა დარგის ცნობილი ჟურნალისტებიც. ბაკურიანში ვიხილავთ სოციალისტური ქვეყნების ჟურნალისტთა კავშირის წევრებს, გაზეთების ხელმძღვანელებს, მოწინავე პოლიტიკურ მიმომხილველებს.

ბაკურიანის სტუმრები სპორტულ ბილიკებზეც ცდიან ძალას. 20 თებერვალს ისინი ერთმანეთს შეეჯიბრებიან გიგანტურ სლალომში, მეორე დღეს სპეციალურ სლალომში იასპარეზებენ, 22 თებერვალი კი 3 ან 5 კილომეტრზე რბოლას დაეთმობა.

შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სათხილამურო სპორტისა და ალპინიზმის კათედრის გამგე ფ. ნავერიანი მზადებით კმაყოფილია. ძვირფასი სტუმრებისთვის ბაკურიანში ყველაფერი მზადაა.

გუშინ ჟურნალისტმა სპორტსმენებმა სპორტულ საქმიანობასაც მოჰკიდეს ხელი. კოხტაგორას წვერისკენ საბაგირო გზას რწევით აჰყავს ფრანგი, გერმანელი, პოლონელი და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები.

თებერვლის უჩვეულო სითბომ თავისი დაღი დააჩნია სარბოლ ტრასებს, მაგრამ სტუმრები მაინც კმაყოფილნი არიან — კოხტას თავზე შემომდგარი ცხელი მზე საოცრად ათბობს და არბილებს თვითოეულის განწყობილებას. ესეც არ იყოს, ორგანიზატორებმა დროულად იზრუნეს, რომ თოვლი საკმარისი ყოფილიყო.

საღამოთი კი თითქოს სტუმრების ჩამოსვლას ელოდაო, დასავლეთის ნოტიო ქარმაც დაჰკრა.

— აუცილებლად ითოვებს! ამბობენ ბევრის მნახველი ბაკურიანელები.

დღეს პირველი სტარტებია.

შეხვედრის დასასრულს ბაკურიანში გაიმართება ჟურნალისტთა საერთაშორისო სათხილამურო კლუბის გენერალური ასამბლეის სხდომა. სტუმრები საქართველოს დედაქალაქში დაბრუნების შემდეგ ნახავენ თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს, ეწვევიან კინოს სახლს, კულტურის მუშაკებს, ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბს...

ბ. ირემაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

* * *

სურათზე: სპორტულ ჟურნალისტთა 23-ე შეხვედრა-შეჯიბრების მონაწილეთა ერთი ჯგუფი თბილისის აეროპორტში.

ი. დავითაშვილის ფოტო.
(საქინფორმი).

უძლიერესთა სამეულები

პოლონეთში ყოველთვიურად გამოდის ჟურნალი „ბოქსი“, რომელმაც გამოაქვეყნა ევროპის მოკრივეთა კლასიფიკაცია თერთმეტივე წონით კატეგორიაში.

ევროპის უძლიერეს მოკრივეთა სამეულებში წონითი კატეგორიების მიხედვით შევიდნენ: **48 კგ.** დ. გედო (უნგრეთი), ა. ტკაჩენკო (სსრ კავშირი), ბ. ფუჩეჯიევი (ბულგარეთი); **51 კგ.** ლ. ბლაჟინსკი (პოლონეთი), დ. ტოროსიანი (სსრ კავშირი), დ. ლარმური (ირლანდია); **54 კგ.** ვ. რიბაკოვი (სსრ კავშირი), პ. კაუდელი (ინგლისი), ც. ანდრეიკოვსკი (ბულგარეთი); **57 კგ.** რ. ნოვაკოვსკი (გდრ), ლ. კოსედოვსკი (პოლონეთი), ბ. რისტიჩი (იუგოსლავია); **60 კგ.** ს. კუცოვი (რუმინეთი), ვ. სოლომინი (სსრ კავშირი), ა. რუსევსკი (იუგოსლავია); **63,5 კგ.** უ. ბეიერი (გდრ), ვ. კოლევი (ბულგარეთი), კ. შჩერბა (პოლონეთი); **67 კგ.** ი. ბაჰფელდი (გდრ), ვ. ზილბერმანი (რუმინეთი), რ. სკრიცეკი (გფრ); **71 კგ.** ე. რიბიცკი (პოლონეთი), ტ. კაჩარი (იუგოსლავია), ვ. სავჩენკო (სსრ კავშირი); **75 კგ.** რ. რისკიევი (სსრ კავშირი), ა. ნესტაკი (რუმინეთი), ბ. ვიტენბურგი (გდრ); **81 კგ.** ი. გორტატი (პოლონეთი), კ. დაფინოიუ (რუმინეთი), ა. კლიმანოვი (სსრ კავშირი); **81 კგ-ს ზევით.** მ. შიმონი (რუმინეთი), ი. ვისოცკი (სსრ კავშირი), პ. ჰუსინგი (გფრ).

„შაბათის სპორტლოტო“

მოსკოვი, 19 თებერვალი. დღეს აქ მოეწყო „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, მერვე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები:

პირველი: 12, 15, 17, 18, 25.
მეორე: 12, 14, 18, 21, 35.

კიდევ ერთი მსხვერპლი

22 წლის იაპონელი მოკრივე მუსასი გოტო იამაგუტის პრეფექტურის ქალაქ ფობუს ცენტრალურ საავადმყოფოში გარდაიცვალა. გოტო საავადმყოფოში სასწრაფო დახმარების მანქანით მიიყვანეს „ფობუ კოკაიდოს“ დარბაზიდან, სადაც მსუბუქი წონის პროფესიონალ მოკრივეთა მატჩი ტარდებოდა. ახალგაზრდა სპორტსმენი ამ შეხვედრისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა როგორც ფიზიკურად, ისე ტექნიკურად. დიაგნოზი ასეთი იყო: „ტვინში სისხლის ჩაქცევა თავში მძლავრი დარტყმების შედეგად“. თორმეტ დღეს გაგრძელდა ბრძოლა პროფესიული კრივის კიდევ ერთი მსხვერპლის სიცოცხლის გადასარჩენად, მაგრამ სასწრაფო ოპერაციაც და ყველა სხვა ზომაც ამაო გამოდგა, გოტო გონს არ მოსულა, ისე დალია სული.

თითქმის მეოთხედი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც იაპონიაში პროფესიული კრივის გავრცელება დაიწყო. ამ ხნის მანძილზე მატჩებისა და წვრთნის დროს დაიღუპა სამ ათეულზე მეტი სპორტსმენი. ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებით, საიდანაც „კრივის სისხლიანი შოუ“ გავრცელდა ამომავალი მზის ქვეყანაში, ეს ბევრი როდია. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ სიაში არ არის ბევრი ის სპორტსმენი, ვინც პროფესიულ რინგზე დასახიჩრდა და სამუდამოდ ხეიბრად დარჩა.

მ. დემჩენკო.
(საკდესის კორ.).

ტოკიო.

ალენ კალმა: „ვეძებოთ ტალანტები!“

პარიზი. „ფრანგი ფიგურისტების დიდება წარსულს ჩაჰბარდა“, — უთხრა გაზეთ „ეკიპის“ კორესპონდენტს მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ფიგურულ ციგურაობაში, 1964 წლის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა, 36 წლის ალენ კალმამ.

ამჟამად კალმა პარიზის ერთ-ერთი ჰოსპიტლის მთავარი ქირურგია. ამავე დროს, იგი საფრანგეთის ციგურაობის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია და ფიგურული ციგურაობის საკითხებს ხელმძღვანელობს.

„ჩვენი ფედერაცია, — ამბობს კალმა, — ზრუნავს ფიგურული ციგურაობის აღორძინებისთვის. უბედურება ისაა, რომ ჩვენში ამ სახეობას ერთგვარად გასართობის ხასიათი მიეცა. დღესდღეობით საფრანგეთში ათი ათასობით ფიგურისტია, მაგრამ ოსტატობის რაიმე დონეზე ლაპარაკიც კი ზედმეტია.

ჩვენ გვინდა აღვზარდოთ მაღალი კლასის სპორტსმენები, მაგრამ ამისთვის მთელი რიგი პრობლემების გადაჭრა დაგვჭირდება. ჯერ ერთი, მისაგვარებელია სპორტისა და სწავლის ურთიერთშეთავსების საკითხი. ჩვენ რამდენიმე სპორტული სკოლა გაეხსენით. გვინდა პერსპექტიულ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ერთ ადგილას მოვუყაროთ თავი, სადაც ყინულიც იქნება და წვრთნის პირობებიც.

გადასაჭრელია ზამთრის სტადიონების პრობლემაც. ჩვენში რამდენიმე ასეული ასეთი სტადიონია, მაგრამ ყველა კომერციულ საფუძველზე მუშაობს. ყველა ფიგურისტს არ შეუძლია ამ ბაზებზე თავისთვის ხელსაყრელ დროს ივარჯიშოს.

ამავე დროს, გვინდა სკოლებისა და კლუბების მუშაობის კოორდინირება (სამწუხაროდ, სკოლები ჯერჯერობით საჭირო რაოდენობით ვერ გვაწვდიან პერსპექტიულ სპორტსმენებს). ჩვენი მიზანია კარგად მომზადება 1980 წლის ოლიმპიადისთვის. ნიჭიერ ახალგაზრდობას სოფლებშიც ვეძებთ“.

კალმას ღრმად სწამს საფრანგეთში ფიგურული ციგურაობის კარგი მომავალი. იგი კარგად იცნობს ყველა მის პრობლემას. „წარუმატებლობათა ხანა უსიამოვნო მოგონებად უნდა იქცეს. ჩვენი საუკეთესო ფიგურისტები თანდათან აიმაღლებენ კლასს, სპორტის მასობრიობა კი ახალ-ახალი ტალანტების გამოვლენის საფუძველია. დღევანდელ „აღმოჩენათაგან“ პირველ ყოვლისა დავასახელებდი ჟან-კრისტოფ სიმონს. 1977 წელი ბევრს ვერაფერს მოგვიტანს, მაგრამ 1980 წელს ოპტიმისტური თვალით ვუყურებთ“, — ამბობს მსოფლიოს ექს-ჩემპიონი.

(საკდესი).

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380098, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

7 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07572